საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N2233 2022 წლის 6 დეკემბერი ქ. თბილისი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის №131 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის №131 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს

არა უმეტეს 39 719 900 (ოცდაცხრამეტი მილიონ შვიდას ცხრამეტი ათას ცხრაასი) ლარისა, კერძოდ:

ა) ხარაგაულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარისა;

ბ) ახალციხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 450 000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 215 000 (ხუთი მილიონ ორას თხუთმეტი ათასი) ლარისა;

დ) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 150 000 (ერთი მილიონ ას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

ე) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 800 000 (სამი მილიონ რვაასი ათასი) ლარისა;

ვ) ხონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 470 000 (ოთხას სამოცდაათი ათასი) ლარისა;

ზ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 825 000 (ერთი მილიონ რვაას ოცდახუთი ათასი) ლარისა;

თ) ტყიბულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 005 000 (ერთი მილიონ ხუთი ათასი) ლარისა;

ი) ჭიათურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 850 000 (რვაას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

კ) სენაკის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 584 900 (ერთი მილიონ ხუთას ოთხმოცდაოთხი ათას ცხრაასი) ლარისა;

ლ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 820 000 (რვაას ოცი ათასი) ლარისა;

მ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 600 000 (ერთი მილიონ ექვსასი ათასი) ლარისა;

ნ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 700 000 (შვიდასი ათასი) ლარისა;

ო) დმანისის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 370 000 (სამას სამოცდაათი ათასი) ლარისა;

პ) წალკის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 405 000 (ოთხას ხუთი ათასი) ლარისა;

ჟ) მარნეულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 130 000 (ას ოცდაათი ათასი) ლარისა;

რ) გარდაბნის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 100 000 (ასი ათასი) ლარისა;

ს) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

ტ) გორის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 230 000 (ორას ოცდაათი ათასი) ლარისა;

უ) თიანეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 140 000 (ას ორმოცი ათასი) ლარისა;

ფ) დუშეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 800 000 (ერთი მილიონ რვაასი ათასი) ლარისა;

ქ) ლენტეხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 725 000 (შვიდას ოცდახუთი ათასი) ლარისა;

ღ) მესტიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 800 000 (ორი მილიონ რვაასი ათასი) ლარისა;

ყ) ონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 150 000 (სამი მილიონ ას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

შ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 340 000 (სამას ორმოცი ათასი) ლარისა;

ჩ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 010 000 (ერთი მილიონ ათი ათასი) ლარისა;

ც) ახალქალაქის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 60 000 (სამოცი ათასი) ლარისა;

ძ) მარტვილის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 310 000 (ორი მილიონ სამას ათი ათასი) ლარისა;

წ) ცაგერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 65 000 (სამოცდახუთი ათასი) ლარისა;

ჭ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

ხ) საჩხერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 000 000 (ორი მილიონი) ლარისა;

ჯ) თერჯოლის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 545 000 (ხუთას ორმოცდახუთი ათასი) ლარისა;

ჰ) მცხეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 120 000 (ას ოცი ათასი) ლარისა;

ჰ[1]) ბორჯომის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარისა;

ჰ[2]) აბაშის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 400 000 (ოთხასი ათასი) ლარისა.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**